



GEORGIAN FOUNDATION FOR  
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

## დეორაფაციის ერთიანი ეროვნული სტრატეგია, როგორც ქართული სახელმწიფოს გამართისათვეში ინსტრუმენტი

რატომ გვაძირობა ეროვნული მოგილიზაციის სისტემა

თინათინ ხიდაში

90

ეპსკონტის კონკი





საქართველოს სტრატეგიულისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

## ექსპერტის აზრი

თიბერი ბელაშვილი

დემოუკაციის ერთიანი ეროვნული სტრატეგია,  
როგორც ერთული სახელმწიფოს  
გამართიანების ინსტრუმენტი

რატომ გვაძირდება ეროვნული მობილიზაციის სისტემა?

90

2017



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2017 წელი

## შესავალი

საქართველოს ნაწილის ოკუპაციის, რუსული „რბილი ძალის“ მომძლავრების, ჩვენს სამეზობლოში მუდმივად მზარდი საფრთხეებისა და პარტნიორებსა და რუსეთის ფედერაციას შორის დაძაბულობის ახალი, მზარდი კერძის გაჩენის კვალობაზე კრიტიკულად აუცილებელია შეიქმნას საქართველოში დეოკუპაციის სტრატეგიული პოლიტიკის ეროვნულ კონსენსუსზე დამყარებული დოკუმენტი.

ჩვენი წინამდებარე ნაშრომი ორ ძირითად ამოცა-ნას ემსახურება: ერთი, წარმოგიდგინოთ არგუმენტები ამგვარი დოკუმენტის აუცილებლობის დასასაბუთებლად და მეორე, შემოგთავაზოთ მოსაზრებები ეროვნული მობილიზაციის სრულფასოვანი გეგმის, როგორც ქვეყნის დეოკუპაციის სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის, შესახებ.

ჩვენი მიგნება ნამდვილად არ არის იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოს წარმატება დიდწილად სამოქალაქო და სამხედრო ერთობის შედეგად მიიღწევა. მხოლოდ ამგვარი ერთობა შეგვაძლებინებს დეოკუპაციას და მიგვაახლოვებს ძლიერ, საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში დარწმუნებულ სახელმწიფოსთან. ოკუ-პაციას მარტო შეიარაღებული ძალები ვერ გაუმკლავ-დებიან, მით უფრო – საქართველოში. დეოკუპაცია უნდა იყოს სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკის თანამდევი იდეა, სამოქმედო გეგმა და სტრატეგიული მიზანი. ეს უკანასკნელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ელიტის წარმომადგენელთა მხრიდან ტელეკრანებზე კეკლუ-ცობიდან რეალურ, თანმიმდევრულ, ნაბიჯ-ნაბიჯ განსახორციელებელ გეგმებში უნდა გადაიზარდოს და ყოველდღიურობის ფუნდამენტური შემადგენელი გახდეს.

ჩვენ შევეცდებით სწორედ ამ ერთობის მიღწევის იდეოლოგიური და ინსტიტუციური ხედვის ერთ-ერთი ვერსია შემოგთავაზოთ, ვინაიდან ნებისმიერ ომში გამარჯვებისთვის შეიარაღებულ ძალებს საკუთარი მოსახლეობის სრული და უპირობო მხარდაჭერა და ნდობა სჭირდება.

შესაბამისად, ჩვენ წარმოვადგენთ, თუ როგორი უნდა იყოს ან არ უნდა იყოს სახელმწიფო პოლიტიკა ოკუპირებულ ქვეყანაში; როგორ უნდა უზრუნველ-ვყოთ სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის ინსტი-ტუციური მოწყობა; როგორ უნდა დავიცვათ ბალანსი საყოველთაო, ტოტალურ თავდაცვასა და სისტემურ, აუცილებელ მობილიზაციას შორის და სხვა.

შევეცდებით არგუმენტები წარმოვადგინოთ იმის დასასაბუთებლად, თუ რატომ არ არის მიზანშეწონილი სავალდებულო ჯარი პატარა, მცირე რესურსების მქონე ქვეყნისთვის და რა სარგებლობა მოაქვს სწორად დაგეგმილ, სახელმწიფოს მიერ წახალისებულ, ნება-ყოფლობითი რეზირვისა და მობილიზაციის სისტემას.

## დეოკუპაციის სტრატეგიის განაცხადი

2016 წელს საქართველოს შეიარაღებული ძალების 25 წლისთავი აღინიშნა. არ არსებობს ჩვენი ისტორიის უძველესი თუ თანამედროვე მნიშვნელოვანი მონაკვეთი, როდესაც შეიარაღებული ძალების თანამონაწილეობის გარეშე ქვეყანას რაიმე ხელშესახები წარმატებისთვის მიეღწიოს. ალბათ ჩვენი თავისუფლებისა და თვითმყოფადობისაკენ მუდმივი სწრაფვის ან უბრალოდ გეოგრაფიის ბრალია, მაგრამ ქართული სახელმწიფოს ისტორია სწორედ ბრძოლის ველზე იწერებოდა.

ბერლინის კედლისა და საბჭოთა კავშირის ნგრევის კვალდაკვალ საქართველომ 25 უმძიმესი წელი გაიარა. ქვეყნის ერთი მეხუთედი დღესაც ოკუპირებულია. სუვერენული, დამოუკიდებელი საქართველოს მიწაზე დღემდე სამი რუსული სამხედრო ბაზა, ტანკები და რუსი ჯარისკაცები დგანან. სუვერენული საქართველოს ტერიტორიაზე ოკუპანტი ქვეყნის ორი „საელჩოა“ გახსნილი და მტერი სწორედ ფიზიკური ძალის გამოყენების მუქარით ხან „ომობანას“ გვეთამაშება და ხანაჟ – „სახლობანას“.

მიუხედავად მოწინააღმდეგის უპირობო რიცხობრივი და ფინანსური უპირატესობისა, განგრძობადი ოკუპაციისა და საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოქალაქეების უსაფრთხოების გადაუჭრელი ამოცანების სიმრავლისა, საქართველოში დღემდე ვერ ვთანხმდებით საკუთარი შეიარაღებული ძალების არსზე, სტრუქტურაზე, ძირითად მიზნებსა და ამოცანებზე, ჯარის სავალდებულო თუ ნებაყოფლობით პროფესიონალურ ბუნებაზე, რეზიუმეებისა და მობილიზაციის გეგმებსა თუ საჭიროებაზე, სამხედრო-სამოქალაქო

კავშირის გარდაუვალობაზე და კიდევ ბევრ სხვა დიდსა და პატარა საკითხზე. უფრო მეტიც, მიუხედავად მუდმივი რეფორმისა და რეფორმირებულის ხელახალი რეფორმისა, ფართომასშტაბიანი საფუძვლიანი დისკუსია შეიარაღებული ძალების ან, უფრო ფართოდ, თავდაცვისა და უსაფრთხოების ინსტიტუციური სისტემის შესახებ არც კი გამართულა. ქვეყანამ დღემდე ვერ მიაღწია კონსენსუს მტრებისა და მეგობრების თაობაზე, პარტნიორობის ქოლგაზე. დღემდე არც სახელმწიფოს წინაშე მდგარი მთავარი საფრთხეების შესახებ შევთანხმებულვართ.

იმის გაცნობიერება, რომ 2017 წელს საქართველოს ჯერ კიდევ არ აქვს დასრულებული შეიარაღებული ძალების ფორმირების პროცესი და ყოველი წელი ქართული ჯარისთვის ჯერ კიდევ ტექტონიკური ცვლილებების ეფექტის მატარებელია, რაც მუდმივად გვიტოვებს განცდას, რომ შეზღუდული რესურსების და მშვიდობის უზრუნველყოფის არგუმენტებს ამოფარებული ქართული სახელმწიფოს მმართველი ელიტა იმ ომის მოლოდინშია, რომელსაც აუცილებლად მოიგებს. თავის მოტყუება თუ „თვალის დახუჭვა“ საფრთხეს არც აქრობს და არც ამცირებს და, როგორც წესი, უმძიმესი შედეგებით სრულდება. ჩვენი აზრით, 2008 წელს საქართველომ ამგვარი პოლიტიკის სიმძიმე და შედეგები უკვე გამოსცადა და ამგვარი სტრატეგია მისთვის მიუღებელი უნდა იყოს.

ილუზორული ომის მოლოდინი თავისთვად ქმნის პროცესს, როდესაც ვიჯერებთ, რომ თავიდან ავიცილებთ რეალურ, გარდაუვალ ბრძოლას საკუთარი სახელმწიფოს შენარჩუნებისთვის.

იკითხავთ, რა არის წარმოსახვითი, ილუზორული ომი?

წარმოსახვითი ომი ისეთი სახელმწიფო პოლიტიკის, სახელისუფლებო რიტორიკისა და მოქმედებების ერთობლიობაა, რომლის შედეგადაც

- მიუხედავად იმისა, რომ შენი ქვეყნის ოკუპაციას თვალით ხედავ და ხელით ეხები, მტრის ხატი დაკარგული გაქვს;
- ოკუპანტი თელავში ყურძნის კრეფისას კეთილია, უფრო მეტიც, ვაშლის კრეფისას გორშიც კი კეთილია, სარგებლის მომტანია, ხოლო საჩხერეში ჯონჯოლის კრეფის დროს ბოროტი ხდება;
- „ლუკოილის“ ბენზინი ცოტა უკეთესია, შეიძლება ოდნავ იაფიც ლირდეს და სწორედ ამიტომ ოკუპანტი კვლავაც სარგებლის მომტანია და შეიძლება სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც კი გავიღოთ ფული, თუმცა როგორც კი შენ მიერ გადახდილი ფულით დაფინანსებულ ტანკს, მაგალითად, სოფელ ჯარიაშენთან რამდენიმე მეტრით წინ გადმოაგორებს, ის ისევ ბოროტი ხდება;
- „გაზპრომი“, რომელიც შენი ყველა პარტნიორისთვის კრემლის მიერ წარმოებული იმის მძლავრი იარაღია, ხოლო მასთან ნებისმიერი მოლაპარაკების მაგიდა – უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე უსაფრთხოების გამოწვევა, შენთვის ათასიდან ერთი მორიგი ხელშეკრულებაა, უსაფრთხოების დათვლას დოლარში იწყებ და საკუთარი სისუსტის დასაფარად ოკუპანტს სარგებლის მომტანად წარმოაჩენ;
- როდესაც არა მხოლოდ მოქმედებით, არამედ განცხადებებითაც მის სიმშვიდეზე ზრუნავ,

„არ გაღიზიანდეს“ – შენი რიტორიკის მთავარი პოსტულატია და შენდაუნებურად სწორედ მტრის მიერ დაგეგმილი ფსიქოლოგიური გავლენის ოპერაციების თანამონაწილე ხდები.

მოგონილი, ილუზორული ომი სწორედ ამ და სხვა მსგავსი ფაქტორების ერთობლიობით შექმნილი პროცესია, როდესაც იჯერებ, რომ ასეთი პოლიტიკით თავს გაიტან და ქვეყნის დეოკუპაციის ან, უფრო ზუსტად, სუვერენიტეტის შენარჩუნებისთვის გადამწყვეტი ბრძოლა აღარ მოგიწევს, როდესაც ფიზიკური კონფრონტაციის, მეტი მიწის დაკარგვის, მეტი სიცოცხლის დათმობის საფრთხე მეორე პლანზე ინაცვლებს და „შეუმჩნევლად დარჩენის“ ბილიკებზე ფეხაკრეფით სიარულისას ნაბიჯ-ნაბიჯ ავიწროვებს თავისუფლების საზღვრებს.

საქართველო შეიძლება თამამად მივიჩნიოთ იმ ტიპის ქვეყნად, სადაც მტრის მიერ შექმნილი და განერილი ე.წ. „მათრახის და თაფლაკვერის“ ტაქტიკა თავად ქართული შიდა პოლიტიკის სახელმძღვანელო დოკუმენტად იქცა. დიახ, სახელმწიფომ ხელი არ უნდა შეუშალოს საკუთარი მოქალაქეების მცდელობებს, მაგალითად, პროდუქტის რეალიზების თუ მომსახურების ბაზრების გაფართოების გზაზე, თუმცა ფუნდამენტურად არასწორია, რომ სახელმწიფო პოლიტიკა, ოკუპანტი ქვეყნის დღის წესრიგის შესაბამისად, მასზე დამოკიდებულებას ახალისებდეს. ფუნდამენტურად არასწორია, პოლიტიკური სისტემა ოკუპანტი ქვეყნის მოქმედებების ან პოლიტიკურ-ეკონომიკური ნაბიჯების მიმართ პოზიტიურ სენტიმენტებს ავლენდეს მაშინ, როცა ქვეყანაში ეს საკუპაციო ჯარი დგას და შენს მოქალაქეებს და მიწას თითქმის ყოველდღიურად იტაცებენ.

ამგვარი მოგონილი, წარმოსახვითი ომის პირობებში რეალური საყრდენი და მტერი „დავკარგეთ“. რამდენად

დაუჯერებლადაც არ უნდა უღერდეს, სწორედ ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკის შედეგია, რომ მოსახლეობის ერთი, მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთს საერთოდ არ მიიჩნევს მტრად, ხოლო მეორე ნაწილისთვის ზღვარი რუსულ სიკეთესა და ბოროტებას შორის გადლაბნილია.

საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, უპირველესი ამოცანა უნდა გახდეს სწორედ ამ წარმოსახვითი ომის ძიების და მასთან გამკლავების ილუზიის დასრულება. ვინაიდან მიუხედავად იმისა, თუ როგორი იქნება რუსული ბიზნესის ინტერესები საქართველოში ან რამდენ კილოგრამ ხილსა და ბოსტნეულს გავყიდით მოსკოვსა და როსტოკში, კრემლში მაინც საზემო დახვედრას მოუწყობენ თვითგამოცხადებული და მათ მიერ სახელმწიფოებად ალიარებული ტერიტორიული წარმონაქმნების „არჩეულ“ ლიდერებს და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საქართველოდან კიდევ უფრო დაშორების გეგმების განხორციელებას თავდაუზოგავად განაგრძობენ. ხოლო კარგად გაყიდული ყოველი კილოგრამი ხილი და ყოველი ლიტრი ღვინო რუსული „რბილი ძალის“ წარმატებისა და ოკუპაციის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იქნება მუდამ და ვერც ერთ შემთხვევაში ქართული სახელმწიფო მას საკუთარი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და სუვერენიტეტის გამყარებისთვის ვერ გამოიყენებს. ამასთანავე, „წამატებული“ სავაჭრო-ეკონომიკური პროექტის მოქმედების გასაღები სრულად და უალტერნატივოდ რუსული სახელმწიფოს ხელში დარჩება, საჭიროებისამებრ ჩაკეტვა-გახსნის ფუნქციით.

ჩვენს წარმოსახვაში შექმნილი ილუზიორული ომის სცენარებთან გამკლავება, სადაც მტერიც კი არ გვყავს, ჯარს სიმბოლური, თითქმის ჰოლისტიკური ფუნქციით აცოცხლებს, როგორც ჩვენი მრავალსაუკუნოვანი საგმირო ისტორიის დასტურს და ხელშესახებ მაგალითს.

თელაველმა ან გურჯაანელმა სამხედრო მოსამსახურემ, რომელიც რუსეთთან შესაძლო ომისთვის უნდა ემზადებოდეს, ზუსტად იცის, რომ სწორედ იმ რუსეთის დამსახურებითაა, რომ მისი ოჯახი თვიდან თვემდე თავს ირჩენს, იცის, რომ მისი მშობლების შრომის დაფასების და კარგი მოსავლის გასაღების შესაძლებლობა ქართულ ღვინოზე შეყვარებული რუსი პიზნესმენის ხელშია. შესაბამისად, ადვილად დასანახია პრობლემის მასშტაბიც.

ეს ყველაფერი კი ხელს უშლის ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ძალების ფორმირების პროცესს, მის მოდერნიზაციასა და პროგრესს, გვაკარგვინებს განვითარებისათვის უმნიშვნელოვანეს წლებს და მილიონობით ლარს ისედაც მწირი ან თითქმის არარსებული რესურსების პირობებში. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ეს შეუძლებელს ხდის სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობაშირის ეფექტურ ინსტიტუციურ მოწყობას, რაც საბოლოო ჯამში საომარი მოქმედებების დროს შეიარაღებული ძალების მიმართ სამოქალაქო მოსახლეობის სრული და უპირობო მხარდაჭერის სისუსტეში აისახება.

ჩვენ უნდა შევწყვიტოთ ძებნა ომისა, რომელსაც აუცილებლად მოვიგებთ, და ვემზადოთ ომისთვის, რომელიც უფრო მოსალოდნელია მოწინააღმდეგის შესაძლებლობების, ამბიციების და პოტენციალის გათვალისწინებით. ფაქტობრივად იმპერატივია, ყოველი დღე და ყოველი თეთრი იმ გზების ძიებისთვის იხარჯებოდეს, რომელიც რეალური საფრთხეების პირობებში ჩვენი ქვეყნის დეოკუპაციასა და ძლიერ სახელმწიფოდ გადაქცევასთან დაგვაახლოვებს. ოკუპაციას მხოლოდ შეიარაღებული ძალები ვერ გაუმკლავდებიან, მით უფრო, საქართველოში. დეოკუპაცია სახელმწიფო პოლიტიკის თანმდევი იდეა უნდა იყოს, სამოქმედო გეგმა

და სტრატეგიული მიზანი. სულ უფრო ინტენსიური, მომთხოვნი, პროაქტიური და ამბიციური უნდა გავხადოთ ჩვენი შიდა ნაციონალური და საერთაშორისო დღის წესრიგი, მუდამ უნდა ვიყოთ მოვლენების ეპიცენტრში და საკუთარი ქვეყნის გადარჩენისთვის უნდა გამოვიყენოთ ყველა უპირატესობა, რომელიც საქართველოს აქვს.

მიზნის მისაღწევად კი ყველაფერი სტრატეგიული ხედვით, ერთიანი სამხედრო-სამოქალაქო სტრატეგიული პროექტით უნდა დავიწყოთ. ქვევით წარმოგიდგენთ ჩვენს ხედვას დეოუპაციის სტრატეგიული განაცხადის რეალიზების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის – საერთო-ეროვნული მობილიზაციის სისტემის შესახებ, რომელიც ქართული სახელმწიფო პოლიტიკის და მოქმედების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი უნდა გახდეს.

## რეზიუმე და მობილიზაციის სისტემა

საქართველოს წინაშე მდგარი უსაფრთხოების ამოცანების ანალიზი ცხადყოფს, რომ ეროვნული თავდაცვის სისტემის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის უმნიშვნელოვანესი – საქართველოს შეიარაღებული ძალების რეგულარული კომპონენტის განვითარება – საკმარისი არ არის.

დღევანდელობის აბსოლუტური აუცილებლობაა მოქნილი, ეფექტიანი და ხელმისაწვდომი მობილიზაციისა და რეზიუმე სისტემის არსებობა, რომელიც იმავდროულად ქვეყნის სამშობლოს დაცვის კონსტიტუციით განმტკიცებულ ვალდებულებასაც ეხმიანება და თანაბრად გავრცელდება საქართველოს ყველა მოქალაქეზე.

საქართველოში პროფესიული რეგულარული არმიის პარალელურად მძლავრი რეზიუმე სისტემის ჩამო-

ყალიბება წარმოადგენს განსაკუთრებით საშურ ამოცანას, სადაც გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი, კერძოდ:

1. საქართველოს რეგიონში ყველაზე მცირერიცხოვანი სამხედრო კონტინგენტი ჰყავს;
2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტემპისა და პოტენციალის გათვალისწინებით, მოკლე და საშუალოვადიან პერსექტივაში თავდაცვის გაძლიერების ხარჯების განსაკუთრებული ზრდა მოსალოდნელი არ არის;
3. შეიარაღებული ძალების რესურსების ზრდა, მწირი ბიუჯეტის პირობებში, მნიშვნელოვნად პარტნიორების დახმარებაზეა დამოკიდებული და, შესაბამისად, გრძელვადიანი დაგეგმვის შესაძლებლობას არ იძლევა;
4. საქართველოს წინაშე მდგარი უსაფრთხოების გამოწვევები მუდმივად იზრდება, ხოლო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის სიმტკიცის უზრუნველყოფა, ექსკლუზიურად თავდაცვის სამინისტროს რესურსებით, შეუძლებელი და მიუღწეველი ამოცანაა;
5. მხოლოდ კარგად განვითარებული, მასობრივი და პროფესიონალური, ნებაყოფლობაზე დაფუძნებული რეზერვის სისტემა ქმნის სრულფასოვან სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობას, რომელიც სამხედრო ოპერაციების დროს გამარჯვების უმთავრესი საწინდარი და ჩვენი ქვეყნის მთავარი რესურსია.

შესაბამისად, ლოგიურია, რომ ქვეყანაში არსებული რესურსების სრული, სტრატეგიული თავმოყრა მოხდეს. ეფექტური სისტემის პირობებში პროცესი ორმხრივ სასარგებლო და მომგებიანია, ვინაიდან შედეგად ვიღებთ:

1. შეიარაღებული ძალების სამოქალაქო მხარდაჭერას სამხედრო ოპერაციების დროს და
2. შეიარაღებული ძალების დახმარებას სამოქალაქო ხელისუფლებისათვის, მაგალითად, ბუნებრივი კატასტროფების დროს.

მობილიზაციისა და რეზერვის სისტემა კიდევ უფრო საშური და მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ხდება შეზღუდული რესურსების პირობებში, ვინაიდან სწორი სტრატეგიული ხედვითა და დაგეგმვით მობილიზაციის სისტემა რესურსების სიმწირის წნებს ამცირებს და შეიარაღებულ ძალებს მეტ მოქნილობას სძენს. ამასთანავე, სწორედ შეზღუდული რესურსების გამო შეუძლებელია ეფექტური რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის დღესვე სრულად ამოქმედება და მისი წარმატება მხოლოდ ეტაპობრივი პროცესის შედეგად გახდება თვალშილული. სწორედ ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, საწყის ეტაპზევე ზუსტად განისაზღვროს:

1. რა ამოცანის შესასრულებლად ვქმნით სისტემას?
2. როგორია საბოლოო პროდუქტი, რომლის მშენებლობასაც ემსახურება ყოველი საფეხური?
3. როგორია ინსტიტუციური მართვის სისტემა, რომელიც კომპეტენტური და უფლებამოსილი იქნება, საჭიროებისამებრ განახორციელოს მისი ადაპტაცია ქვეყანაში და რეგიონში განვითარებული სამხედრო-პოლიტიკური ვითარებისა და ახალი გამოწვევების შესაბამისად?

4. როგორია ფინანსური მობილიზაციის გეგმა?
5. ამგვარი მიდგომა საშუალებას მისცემს სამოქალაქო სტრუქტურებს საკუთარი საჭიროებებისა და ერთიანი სახელმწიფო მობილიზაციის გეგმის ამოცანების შესაბამისად დაგეგმონ შესყიდვები, სამუშაოები და სხვადასხვა ღონისძიებები.

მობილიზაცია საერთო-სახელმწიფოებრივი ფენო-მენია და გულისხმობს ქვეყნის მოსახლეობის, ეკონო-მიკისა და სახელმწიფო ინსტიტუტების უსაფრთხოების მიზნით ქვეყანაში არსებული ყველა რესურსის თავ-მოყრას შეიარაღებული ძალების მაქსიმალური მზად-ყოფნის უზრუნველსაყოფად. მობილიზაცია თავის-თავად გულისხმობს ქვეყნის მოსახლეობის, ეკონო-მიკისა და სახელმწიფო ინსტიტუტების სრულ ჩართულობას და თანამონაწილეობას წარმატების მისაღწევად.

სახელმწიფოსა და მოქალაქეების ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში ყოველდღიურად იქმნება ურთი-ერთდამოკიდებულების მაგალითები, რომლებიც არაფ-რით განსხვავდება სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომ-ლობის წარმატებისთვის აუცილებელი ანალოგიური მოთხოვნებისგან. მაგალითად, სამშენებლო ნებართვის მიღება მხოლოდ კოეფიციენტის ან გამოსაყენებელი სამშენებლო კონსტრუქციის მდგრადობის მოთხოვნებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს და აუცილებელია სა-ხანძრო და სასწრაფო დახმარების მანქანის სრულფასო-ვანი მოქმედებისთვის სივრცის არსებობა, პარკირების უზრუნველყოფა, გამწვანება და სხვა. ანუ იმისათვის, რომ თქვენს საკუთრებაში არსებულ მიწაზე თქვენთვის სასურველი მშენებლობა წამოიწყოთ, ქალაქი გავალ-დებულებთ სახანძრო უსაფრთხოების, გამწვანების, სისუფთავის დაცვის და სხვა მსგავსი საზოგადოებრივი

საჭიროებისათვის აუცილებელი პირობების შესრულებას. ზუსტად ანალოგიურ პრინციპებს, კერძო-საჯარო, სამხედრო-სამოქალაქო სტრუქტურების ერთობლივ მოქმედებასა და ღონისძიებებს უნდა დაეფუძნოს ქვეყნის გენერალური მობილიზაციის სტრატეგია და მისი აღსრულების გეგმები.

ამგვარი შეთანხმებული და ურთიერთდამოკიდებული გეგმის არსებობა აუცილებელია ინფრასტრუქტურული ან ენერგეტიკული პროექტების განხორციელებისათვის, როდესაც ყოველი ხიდი ან გვირაბი ისევე, როგორც მცირე და დიდი ზომის ჰესი, სამხედრო მოქმედებების დროს თავდაცვით ზღუდედ შეიძლება იქცეს ან პირიქით – თავდასხმის დროს ეფექტური შეტევის განხორციელების წინაპირობად.

კიდევ ერთი მაგალითი საჭიროების უკეთ დასანახად: მასობრივი, სრული მობილიზაცია თავისთავად გულისხმობს წინასწარ განსაზღვრულ ადგილებში რეზერვისტების სწრაფ შეკრებას. შესაბამისად, ამოცანის წარმატებით შესრულებისთვის უმნიშვნელოვანესია სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში, განსაკუთრებით, სამობილიზაციო ცენტრებიდან მოშორებით არსებული სატრანსპორტო პოტენციალის, ერთი მხრივ, სრული აღრიცხვა და, მეორე მხრივ, მათი გამოყენების ზუსტი გეგმის არსებობა. ასეთი საშუალებები შეიძლება იყოს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მუნიციპალური ნებართვებისა და ლიცენზიის მქონე კერძო საკუთრებაში არსებული ტრანსპორტი, სასკოლო ტრანსპორტი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკა და სხვა. მობილიზაციის მასშტაბის და საჭიროებიდან გამომდინარე, სქემაში კერძო პირების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებებიც უნდა იყოს ჩართული.

როდესაც ვლაპარაკობთ საყოველთაო მობილიზაციის გეგმაზე, განხილული მაგალითის პირობებში კონცეფცია გულისხმობს არსებული სატრანსპორტო საშუალებების სრულ ინვენტარიზაციას, ლიცენზიასა და ნებართვების სისტემას, დაქვემდებარებული ტრანსპორტის პირობების დადგენას, მათი გამოყენების მკაცრად გაწერილ გრაფიკს და ზუსტად განსაზღვრულ წესებსა და პირობებს.

გენერალური სამობილიზაციო გეგმა თავის თავში მოიცავს სრული ინფორმაციის თავმოყრას, სისტემატიზაციას, გამოყენების დაგეგმვას და ზიანის ანაზღაურებას ყველა იმ რესურსისა და საშუალებისთვის, რომელიც მობილიზაციის პირობებში თავდაცვის აუცილებელი კომპონენტი ხდება. სტრატეგიული გეგმა სრულყოფილად უნდა პასუხობდეს საფრთხეების ხარისხისა და საჭიროებების მასშტაბებს. შესაბამისად, იმის მიხედვით, ცხადდება ა) ნაწილობრივი, ბ) სრული თუ გ) საყოველთაო მობილიზაცია, ყველა სუბიექტმა წინასწარ უნდა იცოდეს მისი მოქმედების კონკრეტული სცენარი.

მობილიზაციის ხასიათის შესაბამისად და ქვემოთ მოცემული თანმიმდევრობით გენერალური სამობილიზაციო გეგმის სრულყოფილი შემადგენელი ნაწილებია:

- ✓ შეიარაღებული ძალები
- ✓ ყველა ძალივანი უწყება
- ✓ სამინისტროები და დეპარტამენტები
- ✓ მუნიციპალიტეტები
- ✓ საჯარო სამართლის იურიდიული პირები
- ✓ კერძო სამართლის იურიდიული პირები
- ✓ კერძო პირები

ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტი და სხვა მატე-რიალური საშუალებები ფუნქციას იძენს იმ შემთვევაში, თუკი არსებობს შესაბამისი საკადრო რესურსი, რომელსაც შეუძლია ამ შესაძლებლობების ამოცანის შესაბამისად გამოყენება. მობილიზაციის საყოველთაო ხასიათის გათვალისწინებით, უმნიშვნელოვანესია მოქალაქეების უნარები მაქსიმალურად სწორად და ადეკვატურად იყოს მიმართული დასახული ამოცანების შესასრულებლად. სისტემის ადეკვატურობა კი ნიშნავს, რომ ადამიანს იმის კეთება მოსთხოვო, რაც იცის ან ყველაზე უკეთ გამოიუვა. იმავდროულად, აბსოლუტურად იმპერატიულია სისტე-მის გამჭვირვალობა, სამართლიანობა, თანასწორობა და ნებაყოფლობითობა, ვინაიდან მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი მაღალი მოტივაციისა და ხარისხის უზ-რუნველყოფა, რაც წარმატების უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელია.

სწორედ ამიტომ არის სასურველი, რომ თავად სარეზერვო სისტემა სამ კატეგორიად ჩამოყალიბდეს და შესაბამისად გადანაწილდეს ქვეყანაში არსებული რესურსიც. ეს კატეგორიებია:

1. რეგულარული ჯარის რეზერვი;
2. ტერიტორიული რეზერვი, ძირითადად შეიარაღე-ბული ძალების დამხმარე ფუნქციების შესას-რულებლად;
3. სპეციალისტების/პროფესიონალური რეზერვი.

თავად სახელწოდებებიც მიგვანიშნებს მთავარ დამახასიათებელ ან განმასხვავებელ ნიშან-თვისებებზე. თუკი რეგულარული ჯარის რეზერვის შემთხვევაში ლაპარაკია პროფესიული ჯარის რეზერვზე, შესაბამისად, მისი ძირითადი ამოცანა საბრძოლო ოპერაციების დროს დანაკარგების შევსება და ბრძოლის ველზე მყოფი

კონტინგენტის გაძლიერებაა. დაკომპლექტებისას კრი-ტერიუმია სამხედრო საქმეში კვალიფიციურობა, შეიარაღებულ ძალებთან თავსებადობა, ჯანმრთელობა და ფიზიკური მდგომარეობა. რეზერვში ჩარიცხვა ხდება საკონტრაქტო-სამხედრო სამსახურის დასრულებიდან გარკვეული დროის მანძილზე (5- ან 7-წლიანი ვადა) და ეს პირები უნდა აკმაყოფილებდნენ სამხედრო სამსახურისათვის დადგენილ ნორმებს. რეგულარული ჯარის რეზერვში ასევე შეიძლება იმ პირების ჩარიცხვა, ვინც სხვა გასამხედროებული უწყებებიდან არიან დათხოვილი. მაგალითად: შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სამხედრო მოსამსახურებიდან ან საგანგებო სიტუაციის დეპარტამენტიდან და სხვა. იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ საერთო ეროვნული მობილიზაციის მიზნების შესაბამისად, მათი მომზადების სისტემა თავსებადია საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან.

ტერიტორიულ რეზერვში ჩასარიცხი პირებისათვის, სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიძლება შედარებით მსუბუქი მოთხოვნები დაწესდეს. გაიზარდოს საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ გასული წლების რაოდენობა, შესაძლებელია ჩაირიცხონ ის პირები, ვისაც საერთოდ არ აქვს გავლილი სამხედრო სამსახური, თუმცა მათი პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით მნიშვნელოვანი სამუშაოების შესრულება შეუძლიათ საგანგებო და საომარი მოქმედებების დროს: მაგალითად, ალპინისტები, გიდები, გეოლოგები, სამოქალაქო მფრინავები და სხვა.

დაბოლოს, სპეციალისტების პროფესიული რეზერვი განსაკუთრებით საინტერესო, მასშტაბური და ღირებული კომპონენტია სამობილიზაციო სამსახურისთვის, ვინაიდან იგი საშუალებას იძლევა ქვეყნის

თავდაცვითი ამოცანების შესრულების სამსახურში აღმოჩნდეს ნებისმიერი პროფესიის, ცოდნისა და გამოცდილების მქონე ადამიანი, ვინც არსებული გამოწვევების შესაბამისად მობილიზაციის სისტემით განსაზღვრული დროის მანძილზე თავდაცვისუნარიანობის გეგმის განხორციელების თანამონაწილე ხდება. ასეთები შეიძლება იყვნენ ექიმები, კიბერსპეციალისტები, ინჟინერი, ფსიქოლოგები, თარჯიმნები და სხვა.

თანამედროვე ჯარი ციკლში „კბილებამდე შეიარაღებული წინა ხაზის ჯარისკაციდან ზურგის მხარდაჭერამდე“ დაახლოებით 1:10-თან შეფარდებას გვაძლევს, სადაც წინა ხაზზე მებრძოლი ერთი სამხედრო მოსამსახურის წარმატებას დაახლოებით 8-9 დამხმარე ემსახურება. რეალურ ცხოვრებაში ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს სამხედრო სამსახურში მყოფთა უდიდეს უმრავლესობას შესაძლოა არასოდეს მოუწიოს ბრძოლის ველზე იარაღით ხელში სამშობლოს დაცვა და იმავე ამოცანას საკუთარი სამუშაო ადგილიდან მოემსახუროს. სწორედ შეცვლილი რეალობების და ომის განსხვავებული, განვითარებული და მაღალტექნოლოგიური დინამიკის გათვალისწინებით, დღეს ისე, როგორც არასდროს, ეფექტური რეზერვის სამსახურის შექმნა, როტაციით და ზუსტად განერილი ამოცანებით რესურსების დაზოგვით უმაღლესი ხარისხის შედეგის მიღების შესაძლებლობას იძლევა.

თავდაცვის ამოცანებისა და კონკრეტული მდგომარეობის გათვალისწინებით, სარეზერვო სამსახურის ყველა კატეგორიისთვის შესაძლებელია დადგინდეს განსაკუთრებული პირობები. როგორც უკვე აღინიშნა, რეზერვის გამოყენება ხდება არა მხოლოდ თავდაცვის ღონისძიებებისთვის, არამედ ყველა ვითარებაში, მათ შორის, როდესაც შეიარაღებულ ძალებს აქვს დამხმარე

ფუნქცია, კერძოდ, ბუნებრივი კატასტროფების გამო საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს. შესაბამისად, სწორედ კონკრეტული ამოცანების გათვალისწინებით, რეგულარული ჯარის რეზერვში ჩაირიცხებიან ის პირებიც, ვისი საკონტრაქტო სამსახურიდან დათხოვნიდან დადგენილ ვადაზე მეტია გასული, იმ შემთხვევაში, თუკი სამხედრო სპეციალობებზე დეფიციტური მოთხოვნაა და სხვა.<sup>1</sup>

## **ნებაყოფლობითი სამხედრო სამსახური, სრულად პროფესიული არმია**

სავალდებულო, ანუ იძულებითი გაწვევის სისტემაზე ლაპარაკისას შესაძლებელია ათეულობით არგუმენტის მოყვანა, ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობის, სავალდებულო სამსახურში წვევამდელების შესაძლებლობების რეალური გამოყენებისა და მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე. შესაძლებელია მოვიხმოთ სტატისტიკა, რომელიც წვევამდელებში თვითმკვლელობის მცდელობის უკიდურესად შემაშფოთებელ სურათს გვაძლევს, ასევე გამწვევი სტრუქტურების მიხედვით განვიხილოთ 18-19 წლის ბიჭების იძულებითი შრომის გრაფიკი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სამხედრო სამსახურის გავლასა და ქვეყნის სამსახურთან. ასევე მნიშვნელოვანია სისტემის უსამართლობაზეც ვისაუბროთ, როდესაც გაწვევის ასაკის რამდენიმე ათეული ათასი ახალგაზრდიდან მხოლოდ მეხუთედს გაიწვევენ, რაც ნეპოტიზმის და არაჯანსაღი ურთიერთობის უზარმაზარ სივრცეს ქმნის მოქალაქეებს, სამხედრო კომისარიატებსა და წვევამდელთა მიმღებ სამინისტროებს შორის. თუმცა, ვფიქრობთ, ყველაზე უფრო რთულ თემებზე პასუხი შეიძლება მარტივი კითხვებით ვიპოვოთ.

როგორ ვიქცევით, როდესაც პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით? განვიხილოთ სტანდარტული სიტუაციები, როდესაც საფრთხის განცდა მატულობს და დახმარებას ვეძებთ.

- ავადმყოფობის დროს – პროფესიონალ, ცოდნითა და გამოცდილებით შეიარაღებულ ექიმს ვენდობით;
- 16 წლის მოზარდის სახლიდან ყოველი გასვლის დროს – ჩვენი დაქირავებული პროფესიონალი პოლიციის იმედად ვართ;
- საშუალო სკოლაში – შესაძლო კონფლიქტის პრევენციისთვის პედაგოგებს არ ვენდეთ და უსაფრთხოების და წესრიგის უზრუნველსაყოფად მანდატურის სპეციალური, პროფესიული სამსახური შევემენით;
- მაგრამ, როდესაც აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალზე ვმოძრაობთ და უცხო ქვეყნის დროშის სილუეტს ვხედავთ, რომელიც იმავე დროშის სახელმწიფოს ტანკებით არის გამაგრებული, 18-19 წლის ახალგაზრდების იმედად ვართ, რომლებიც მათი ნების საწინააღმდეგოდ მოვწყვიტეთ ოჯახს ან საყვარელ საქმეს, ფორმა ჩავაცვით, ხელში იარაღი მივეცით და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე სამშობლოს დაცვა დავავალეთ.

ინდივიდუალური, ჩვენი ოჯახისკენ მომართული საფრთხის განეიტრალება და უარესის პრევენცია – უკვე საუკუნეზე მეტია ამ საქმისთვის სპეციალურად გაწვრთნილი და დაქირავებული ადამიანების არმიის-თვის გვაქვს მინდობილი. არ მახსენდება ვინმეს კითხვა გასჩენოდეს პროფესიონალი საგზაო ან კრიმინალური პოლიციის არსებობის გამო. უფრო მეტიც, ჩვენს

შორის ყველაზე სახელმწიფოებრივად მოაზროვნენი მუდმივად პოლიციის ბიუჯეტის ზრდას და, შესაბამისად, მეტ პროფესიონალიზმს, მეტ წვრთნას, განათლებას, გამოცდილებას ითხოვენ. ალბათ არავის გიფიქრიათ, რომ თქვენი ყოველდღიური უსაფრთხოებით შესაძლოა გამოუცდელი და მოუმზადებელი 18-19 წლის გოგო-ბიჭები დაკავდნენ, რომლებსაც ყოველგვარი მოტივა-ციისა და ინტერესის გარეშე პოლიციელის ფორმას ჩააცმევენ, იარაღს მისცემენ და ყოველდღიური კრიმინალისგან თქვენი უსაფრთხოების დაცვას დაავალებენ.

ახლა კი კვლავ სამხედრო სამსახურს დავუბრუნდეთ. ვფიქრობ, მხოლოდ გონივრული და გამართლებულია ქვეყნის დაცვის სამსახურში მყოფ ადამიანებს, რომლებიც თავისი ცხოვრების ნებისმიერ მომენტში შესაძლოა ბრძოლის ველზე აღმოჩნდნენ, ზუსტად ისეთივე პასურისმგებლობით შევხედოთ, როგორც მათ, ვინც ჩვენს ინდივიდუალურ უსაფრთხოებას იცავს ყოველდღიურად.

სამხედრო სამსახური, მიუხედავად იმისა, სად და რა ფუნქციით ემსახურებით ქვეყანას, განსაკუთრებული სიამაყისა და კმაყოფილების განცდას აჩენს. იგი განსაკუთრებულ ცოდნასა და გამოცდილებას გვაძლევს და თავდაჯერებული, მაღალი დისციპლინისა და მორალის მქონე პიროვნების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. რეგულარული ჯარი დისციპლინისა და გამძლეობის მუდმივი გამოცდაა, თუმცა, ჩვეულებრივ, პირველი რიგის სამხედრო პროფესიების გარდა, შეიარაღებულ ძალებში არიან ექიმები, იურისტები, ინჟინრები, პედაგოგები, თარჯიმნები და ბევრი სხვა პროფესიის ადამიანები, რომლებსაც სამოქალაქო სამსახურში, სიცოცხლისთვის რისკის გარეშე, სრულიად მშვიდად შეუძლიათ თავისი და ოჯახის წევრების მომავლის უზრუნველყოფა. მაგრამ ეს ადამიანები ირჩევენ სამხედრო სამსახურს. პროფესიას,

რომელიც უყვართ, მოსწონთ, ეამაყებათ, სადაც იზრდებიან, სწავლობენ, მეტ გამოცდილებას იძენენ და, შესაბამისად, იზრდება მათი შესაძლებლობები და სტატუსიც. დიდსა და პატარა ქვეყნებში, მშვიდ და აგრესიულ სამეზობლოებში ახალგაზრდები ყოველ-დღიურად აკეთებენ არჩევანს სამხედრო სამსახურის სასარგებლოდ. ანალოგიური ვითარებაა საქართველოშიც. საკონტრაქტო სამსახურში გაწვევის მსურველი მრავალჯერ აღემატება გასაწვევთა რაოდენობას, რაც გამართული მენეჯმენტის პირობებში უმნიშვნელოვანესი რესურსია სახელმწიფოსთვის.

რამდენიმე ფაქტი, რომელიც, ერთი შეხედვით, შეიძლება ურთიერთგამომრიცხავიც კი მოგვეჩვენოს:

- საკონტრაქტო სამსახურში გაწვევის მსურველთა რაოდენობა ძალიან მაღალია. მოთხოვნის ასეთი ხარისხი, ბუნებრივია, იმითაც არის გამოწვეული, რომ ჯარი დასაქმების ყველაზე რეალური, რამდენიმე წლით გარანტირებული შესაძლებლობაა და ახალგაზრდების ერთი ნაწილი სწორედ სამსახურის ძებნის გზაზე იცვამს სამხედრო ფორმას.
- აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ სწავლების ინტენსიური გრაფიკის, ფიზიკური დატვირთვისა და სამხედრო მოსამსახურისათვის წაყენებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკმაოდ მაღალია სამსახურის პირველი წლის მანძილზე თვითდათხოვნილთა რიცხვი, რაც ერთგვარი ბუნებრივი გადარჩევის შესაძლებლობაა და შედეგად ძირითადად ის კონტინგენტი რჩება, ვინც სამხედრო სამსახურისთვის ვარგისია და ამას კარიერად ირჩევს;

- არადამაკმაყოფილებელია სამხედრო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში (საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ) განათლების მიღების შემდეგ ჯარში დარჩენილი სამხედროების რაოდენობა, რაც, ერთი მხრივ, ადასტურებს სამხედრო სასწავლებელში კარგი განათლების მიღების მაღალ მოლოდინს, მაგრამ, მეორე მხრივ, ხაზს უსვამს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის დაგეგმვისა და კადრების მართვის პოლიტიკის ნაკლოვანებას;
- უზარმაზარი პრობლემაა სხვადასხვა საჭირო პროფესიის სპეციალისტების მოზიდვა ჯარში, რის გამოც ძალზე გრძელია იშვიათი და დეფიციტური პროფესიების სია.

ამრიგად, ეს და სხვა მსგავსი ფაქტობრივი გარემოებები თავად გვიბიძგებს მრავალსაფეხურიანი, ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღებისკენ. როდესაც შეიარაღებულ ძალებში პირადი შემადგენლობის მართვის პოლიტიკა არ იქნება სწორხაზოვანი და ყველა მიგვყავს, არავინ მიგვყავს ან, კიდევ უარესი, სპონტანური საკადრო პოლიტიკის პრინციპზე აწყობილი.

დასაწყისისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი შეიძლება შემოვიტანოთ, რომლებიც არსებული რეალობის გაუმჯობესებაშიც დაგვეხმარება და რესურსების ეფექტურად გამოყენებასაც განაპირობებს:

1. არ ვაუქმებთ ჯარში გაწვევის სისტემას, ის კონკრეტულად განერილია და არსებობს. ვაუქმებთ გაწვევის იძულებას სახელმწიფოს მიერ დადგენილი დროის გრაფიკით.
2. კონსტიტუციით განსაზღვრული სამხედრო სამსახურის მოხდის დრო და ფორმა მთლიანად

მოქალაქის არჩევანით დგინდება და ის თანაბრად ვრცელდება ახალგაზრდებზე, სქესის მიუხედავად.

3. შეიარაღებული ძალების ინტერესებიდან გამომდინარე, ახალგაზრდებს ეძლევათ შესაძლებლობა სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძონ თავდაცვის ამოცანებისათვის გამოცხადებული სტიპენდიების პროგრამით, რაც, ბუნებრივია, შემდგომში მათი და შეიარაღებული ძალების ურთიერთობის განმსაზღვრელი პირობაა.
4. სამხედრო სამსახურის მოხდა შესაძლებელია დამტკიცებული რეზერვისა და მობილიზაციის წესების შესაბამისად, რაც იმასაც ნიშნავს, რომ ახალგაზრდას შეუძლია აირჩიოს, მაგალითად, პროფესიულ რეზერვში სამსახური, წინასწარ განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად. ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, 2 წლის მანძილზე, შეთანხმებული გრაფიკით (სავალდებულო დღეების რაოდენობა) ქუთაისში, სამხედრო ლიცეუმში, ცურვის ინსტრუქტორად სამსახური. ლიცეუმი ზოგაც ინსტრუქტორის დაქირავებისათვის გამოყოფილ რესურს და სხვა საჭიროებისათვის იყენებს, ახალგაზრდა სამსახურის სავალდებულო მინიმუმს ეუფლება და პარალელურად იძენს არასრულწლოვნებთან მუშაობის გამოცდილებასა და დამატებით პროფესიას.
5. სამხედრო ვალდებულმა ახალგაზრდამ სამსახური შეიძლება მოიხადოს სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ნებისმიერი ფორმით, თავის არჩეულ ტერიტორიაზე, თავისი შედგენილი გრაფიკითა და ინეტერსებისა და შესაძლებლობების მიხედვით. ასეთი სამხედრო სამსახური მრავალმხრივ მომგებიანია. ათავისუფლებს უწყების კონკრეტულ ფინანსურ რესურსებს,

ახალგაზრდა იღებს იმ უნარებს, რაც წესების შესაბამისად სავალდებულოდ განერილია და ბოლოს სარგებელს იღებს კონკრეტული პროფესიის დაუფლებითა თუ გამოცდილების შეძენით. მაგალითად, მისივე გადაწყვეტილებით, შეთავაზებული ალტერნატივებიდან შეიძლება აირჩიოს სატანკო ქარხანაში მსახურება, რაც თავისთავად გულისხმობს მისთვის სავალდებულო პროფესიული უნარებისა და ცოდნის გადაცემას.

6. საკონტრაქტო სამსახურში პირველი განვევის დროს, საწყისი საბრძოლო მომზადების პერიოდში, სამხედრო მოსამსახურე სარგებლობს დაზღვევის, კვების და სამხედრო მოსამსახურისთვის განკუთვნილი ყველა მომსახურებით და შეღავათით, აუნაზღაურდება მგზავრობის ხარჯები, თუმცა არ იღებს ხელფასს.

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ შეთავაზებებისა, რომლებიც შესაძლებელს გახდის, რომ კონსტიტუციით განსაზღვრული სავალდებულო – სამხედრო სამსახური ყველასათვის სასარგებლო იყოს და მთლიანად განთავისუფლდეს იძულებისა და მონური შრომისგან.

## დასკვნა

საფრთხეებისა და გამოწვევების ზრდის კვალობაზე დემოკრატიული სახელმწიფოები უსაფრთხოების განმტკიცებისა და მშვიდობის უზრუნველყოფის ინოვაციურ, მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებულ სისტემებსა და თვითორგანიზების ახალ მოდელებზე მსჯელობენ. ბოლო 25-30 წლის მანძილზე შესაძლოა პირველად მსოფლიოს დღის წესრიგი კვლავაც უსაფრთხოების თემებით არის გაჯერებული და ყველაზე მეტი მსჯელობა და ფინანსური რესურსი სწორედ მისი გაჯანსაღების, უკეთესი გარემოს შენარჩუნებისკენ არის მიმართული.

დღეს ყველა შეთანხმებულია, რომ თუკი ქოლერა გიტევს, ყველა მიმდინარე პროექტის მნიშვნელობის მიუხედავად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქოლერა დასამარცხელებელია, უფრო მეტიც, მისი დამარცხება პირველხარისხოვანი ამოცანაა და ყველა სხვა საქმის კეთებისას უნდა გვახსოვდეს, რომ ქოლერის დამარცხების გარეშე არავითარი განსაკუთრებული გარღვევა მოსალოდნელი არ არის. შესაბამისად, მასთან ბრძოლა უნდა იყოს თანმდევი კომპონენტი, გამჭოლი ხაზი ყველა საქმეში. ყველას გაცნობიერებული გვაქვს საფრთხე, რომლის დამარცხების გარეშეც ყველაზე უფრო წარმატებული გეგმები და სტრატეგიებიც კი გვერდზე დაგვრჩება და მოსახლეობასაც ვერ გადავარჩენთ.

ამასთანავე, სწორი და წარმატებული სტრატეგიული მართვისთვის უმნიშვნელოვანესია გვახსოვდეს, რომ ამ ბრძოლის პარალელურად სახელმწიფომ სრულფასოვანი ფუნქციონირება უნდა განაგრძოს, მისი არსებობის საფუძველი, ინსტიტუციური ფუნდამენტი არ უნდა შეირყეს. ქოლერა არ შეიძლება იქცეს არგუმენტად, რომელიც მიზნის მისაღწევად ყველა საშუალებას

ამართლებს, კანონის უზენაესობას ხელყოფს, თანას-წორობის და სამართლიანობის განცდას გააქრობს. ვინაიდან შეიძლება ერთ დღეს აღმოვაჩინოთ, რომ მოსახლეობა ერთი განსაცდელისგან მხოლოდ იმიტომ დავიხსენით, რომ მეორე არანაკლები განსაცდელის წინაშე დამდგარიყო.

სახელმწიფო წარმატებას მხოლოდ მაშინ აღწევს, როდესაც სწორად ახდენს რეალობის, არსებული საფრთხეების, თავისი შესაძლებლობებისა და ყველაზე მნიშვნელოვანი ინტერესების პრიორიტეტიზაციას, შესაბამისად, ადგენს სტრატეგიულ გეგმას და აყალიბებს ტაქტიკურ ამოცანებს, როდესაც ააშკარავებს და ყველა ღონეს ხმარობს, რომ ხელი კი არ შეუწყოს, არამედ გაუმტკლავდეს უსაფრთხოების მთავარ გამოწვევას. ისევ და ისევ, თუკი ქოლერა გვიტევს, სწორედ მასთან ბრძოლა, მისი დამარცხება და შემდგომი პრევენცია ხდება სახელმწიფო სტრატეგიის მთავარი ამოცანა, რომელსაც არა ქაოსით, არამედ ინსტიტუციური წესრიგითა და პრინციპული პოლიტიკით ვუპირისპირდებით, ვგეგმავთ და ვხარჯავთ სწორედ მისი დამარცხების ამოცანებიდან გამომდინარე და არა წაყრუებისა თუ წახალისებისთვის.

ჩვენი ამოცანა იყო ქოლერასთან, ჩვენს შემთხვევაში – ოკუპაციასთან, ბრძოლის ფართო ფრონტის შემოთავაზება,

- როდესაც სახელმწიფო და მისი წარმომადგენლები ერთიანი, წინასწარ შეთანხმებული სტრატეგიული გეგმით მოქმედებენ გამარჯვების მთავარი პირობის, შიდა სახელმწიფოებრივი კონსენსუსის და მოსახლეობის უპირობო მხარდაჭერის მოსაპოვებლად;
- როდესაც შეიარაღებული ძალები, მისი აქტიური და პასიური შემადგენელით, სწორედ ამ ერთიანი გეგმის მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც მხოლოდ ერთი ნაწილია;

- როდესაც მოსახლეობა დეოკუპაციის სახელ-მწიფო სტრატეგიის თანამონაწილე და მესა-კუთრეა;
- როდესაც მტერს „რბილი ძალით“ გამარჯვე-ბის და საქართველოს მოსახლეობის „გულის მოგების“ ილუზიაც კი აღარ რჩება.

სამწუხაროდ, ქვეყანა, რომელსაც არა აქვს დეოკუპაციის ნათელი და გამჭვირვალე საერთო-ეროვნული პოლიტიკა, სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის კრიტიკულად აუცილებელ ხარჯებზე ეკონომიას სწევს და საერთაშორისო ასპარეზზე თავშეკავების პოლიტიკით გამოირჩევა, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ გარდაუვალის გადავადებას ახერხებს და ვერაფრით – უმთავრესი საფრთხის თავიდან აცილებას. დაბნეული და მტრის ხატდაკარგული მოსახლეობა კი მტრისთვის გაგზავნილი ღია მოსაწვევია შემდგომი ინტერვენციისა და ძალადობისთვის.

რეზერვისა და მობილიზაციის ერთიანი ეროვნული სტრატეგია და ფამტკიცებული პროგრამა უნდა ითვლისწინებდეს კონკრეტულ სქემას შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

- 1) კვალიფიკაცია;
- 2) ნამსახურების წლები;
- 3) რეზერვში სავალდებულო სამსახურის ინდივიდუალური ვადებისა და გრაფიკის დადგენის წესები;
- 4) რეგულარული საბრძოლო და სამობილიზაციო წვრთნები;
- 5) სამობილიზაციო შეკრებები; ღია და ფარული მობილიზაცია;
- 6) საერთაშორისო მისიებში მონაბილებლობა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი მიზნებისთვის კონკრეტული მონაცემები კრიტიკულად მნიშვნელოვანი არ არის. სწორედ ამიტომ შევეცადეთ მკითხველის ყურადღება მხოლოდ სტარტეგიულად მნიშვნელოვანზე შეგვეჩერებინა. კერძოდ, რეზერვისა და მობილიზაციის ერთიანი ეროვნული სტარტეგიის დამტკიცების აუცილებლობაზე, მისი გამართული მუშაობის ფუნდამენტურ საჭიროებაზე, რესურსების თავმოყრისა და მობილიზაციის პრიორიტეტულობასა და თავად მობილიზაციის სისტემის ძირითად მახასიათებლებზე.